სიამის ტყუპების მიერ ჩადენილი დანაშაულების კვალიფიკაციისა და მათი მსჯავრდების პრობლემა საქართველოში

ანა ბრელიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სისხლის სამართალი

ხელმძღვანელი: ნათია მოგელაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“

ანა ბრელიძე

2024 წელი

აბსტრაქტი

სხეულებით შეერთებული ტყუპები, რომელთაც როგორც სამედიცინო, ისე იურიდიულ ლიტერატურაში სიამის ტყუპებად მოიხსენიებენ, ჩვენი საზოგადოების სრულუფლებიან წევრებს წარმოადგენენ, თუმცა მათი სპეციფიკური მდგომარეობის გამო არსებობს მთელი რიგი სფეროები, რაც საგანგებო რეგულირებას მოითხოვს და დღემდე გამოწვევას წარმოადგენს. უპირველეს ყოვლისა, ეს სიამის ტყუპების მიერ დანაშაულის ჩადენის შემთვევაში მათი ქმედების კვალიფიკაციისა და მსჯავრდების საკითხებს უკავშირდება.

აღნიშნული ნაშრომი საუნივერსიტეტო სივრცეში ამ დაურეგულირებელ საკითხზე სამეცნიერო კვლევის პირველი მცდელობაა, რომლის მიზანია, სიამის ტყუპების მსჯავრდებასთან დაკავშირებით არსებული დუმილის დარღვევა და სამართლებრივი ბუნდოვანების მეტ-ნაკლებად აღმოფხვრა.

კვლევის ფარგლებში მოხდა იმ საკვანძო საკითხების გამოვლენა, რაც დღეს პრობლემას წარმოადგენს როგორც თეორიული, ისე პრატიკული თვალსაზრისით. პირველ რიგში, ეს ეხება ბრალისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის საკითხს. სიამის ტყუპების მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციის პრობლემებს, კერძოდ, როგორ უნდა მოხდეს ზღვარის გავლება სხეულით შეერთებული ტყუპებიდან მხოლოდ ერთის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. ასევე, როგორ უნდა მოხდეს სასჯელის აღსრულება და რომელია ის სასჯელები, რაც არც პასუხისმგებლობის გარდუვალობის პრინციპს დაარღვევს და ამავდროულად რელევანტური და სამართლიანი იქნება.

ნაშრომის ფარგლებში წარმოდგენილია მცდელობა, აქამდე პასუხგაუცემელ კითხვებზე, რათა ჩამოყალიბებულ იქნეს ერთგვარი ხედვა. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად მოხდა საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკის შესწავლა. ჩატარდა ინტერვიუები დარგის სპეციალისტებთან. საჯარო უწყებებიდან მოხდა სიამის ტყუბებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოთხოვა. განხორციელდა სხვადასხვა ტიპის სიამის ტყუპების ანალიზი, მათ მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის შემთხვევაში

კვალიფიკაციასა და მსჯავრდებასთან დაკავშირებით სწორი სამართლებრივი ხედვის ჩამოსაყალიბებლად.

ამდენად, იმის მიუხედავად, რომ სიამის ტყუპების მიერ დანაშაულის ჩადენის სტატისტიკა შედარებით მცირეა, მნიშვნელოვანია, როგორც ქართულ სამეცნიერო საზოგადოებას ისე მართლმსაჯულების სისტემას ჰქონდეს ჩამოყალიბებული ხედვა, სიამის ტყუპების ქმედებებზე სამართლებრივ რეაგირებასთან დაკავშირებით. ნაშრომის მიზანს სწორედ ამ საკითხზე სამეცნიერო დისკუსიის აქტუალიზაცია და რეკომენდაციების შემუშავება წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: სიამის ტყუპები, დანაშაული, კვალიფიკაცია, მსჯავრდება, თანამონაწილეობა, ბრალის ინდივიდუალიზაცია.

Abstract

Conjoined twins, who are referred to as Siamese twins in both the medical and legal literature, are presented to the full members of our society, but because of their specific situation, there are a number of areas that require emergency regulation and are still a challenge. First of all, this is related to the issues of qualification and conviction of their actions in the event of committing a crime by the Siamese twins.

This academic paper is the first attempt at scientific research on this unregulated issue in the university space, which aim is to break the silence regarding the Siamese twin conviction and more or less eliminate legal ambiguity.

The research identified key issues that are a problem today both from a theoretical and practical point of view. First, it deals with the issue of individualization of guilt and punishment. Problems with the qualification of an action committed by the Siamese twins, namely how to pass the threshold in the case of only one of the twins in the body committed a crime. Also, how punishment should be executed and which are the punishments that will not violate the principle of exclusion of liability and at the same time will be relevant and fair.

The paper presents an attempt to answer unanswered questions in order to create a kind of vision. To ensure this, international and local practices were studied. Interviews were conducted with specialists in various fields. Information related to Siamese twins were requested from Public Agencies. Analysis of different types of Siamese twins was carried out, in order to establish a correct legal view regarding qualifications and convictions in the case of possible committing a crime.

Thus, despite the fact that the statistics on committing a crime by the Siamese twins are small, it is important for both the Georgian scientific community and the justice system to have an established vision regarding the legal response to the actions of the Siamese twins. The purpose of the paper is to actualize scientific discussion on this issue and develop recommendations.

Key words: Siamese twins, crime, qualifications, convictions, complicity, individualization of guilt.

მადლობა

მადლობას ვუხდი სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელ ქალბატონ ნათია მოგელაძეს, ნაშრომზე მუშაობის პროცესში დათმობილი დროისთვის, არაერთი რეკომენდაციისა თუ რჩევისთვის.